№ 39

კვირა, 22 თებერვალი, 1898 წ.

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 | — | 6 . . . | 6 | — |
| 11 . . . | 9 | 50 | 5 . . . | 5 | 50 |
| 10 . . . | 8 | 75 | 4 . . . | 4 | 75 |
| 8 . . . | 8 | — | 3 . . . | 3 | 50 |
| 9 . . . | 7 | 25 | 2 . . . | 2 | 75 |
| 7 . . . | 6 | 50 | 1 . . . | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1898


# ივერია


№ 39

კვირა, 22 თებერვალი, 1898 წ.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად** და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

**ფასი განცხადებისა:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—3 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227




ერეკლე ყმაწვილობის დროს




ერეკლე მეორე

ტფილისი, 21 თებერვალი

ამ თებერვლის 22-სა დღესა შესრულდა ასი წელიწადი მას აქედ, რაც მეფე ერეკლე მიებარა მიწას და დასაფლავებულ იქმნა მცხეთის სამეუფო ტაძარში. ამ დღეს მისს საფლავზე გადახდილ იქმნება წირვა და პანაშვიდი და ქართველობა ერთხელ კიდევ ეტყვის საუკუნო ხსენებას სახელოვანს გვირგვინოსანსა. ხსენება ღვაწლით მოსილ მამული-შვილისა, მეფეა, თუ უბრალო სიკვდილის-შვილი, სესხი და ვალია შთამომავლობისა. საფლავი ქვეყნის მოღვაწე ვაჟკაცისა წმინდა სალოცავია მამულისათვის, თუ ერი ერობს და „სამარისკენ ფეხი არ გაუშვერია“ მაგრამ საკმაო-კია მარტო სიტყვით, მარტო ლოცვა-კურთხევით ხსენება? ეს ყოველი ხომ წავა და გათავდება, სხვა რა დაგვრჩება, რომ მართლა საუკუნოდ სახსენებელი იყოს ჩვენთვის ამისთანა კაცი?

თვითეულის ადამიანის საფლავის ქვეშაო, ამბობს გერმანიის სახელგანთქმული პოეტი ჰეინე, დამარხულია მთელის ქვეყნიერობის ისტორიაო. თუ ეს ითქმის ყველა ადამიანზე თვითეულად, მაშ უფრო ბევრ რიგად მართალია თ. გ. ორბელიანი, რომ მეფე ერეკლეზე სთქვა: „დიდება საქართველოსი მასთან მარხია სამარესაო“. უფრო ზედ-მიწევნით დაგვიხატა დიდ-ბუნებოვანობა მეფე ერეკლესი თვით ქართველმა ერმა და ორ-სამ სიტყვაში გამონასკვა მთელი ღვაწლ-მოსილობა გვირგვინოსან გმირისა, როცა იგრძნო, რომ მეფე ერეკლე დაჰკარგა და „მამული ვეღარ იხილავს ერეკლეს ხმალსა მლევარეს“.

ერმა ამისთანაებში უფრო მოსწრებული და ზედ-გამოჭრილი სიტყვა იცის, იმიტომ-რომ ბაგენი მისნი მეტყველობენ მარტო ნამეტანობისაგან გულისა, ესე იგი, მაშინ, როცა გული სავსეა. „ვერ გაიგითა, ქართველნო, შეგეხსნათ რკინის კარია, აღარ გყავთ მეფე ერეკლე ბაგრატიონთა გვარია“-ო. ასე ამოიკვნესა ერმა, როცა დასტიროდა გვამს თავისის სახელოვანის მეფისას. მეფე ერეკლე რკინის კარი იყო საქართველოსი. აი მისი ისტორიული ხატი ეს არის და, თუ არ დიდ-ბუნებოვანს კაცს, სხვას ვის შეუძლიან რკინის კარობა გაუწიოს ქვეყანას?

ერის ასეთი მოწმობა უტყუარი საბუთია მეფე ერეკლის დიდ-ბუნებოვანობისა. ეს რკინის კარობა პატარა კახისა ოთხ-კედელშუა მოგონილი და ხელად გამომცხვარი ეპიტეტი კი არ არის, ეს სიტყვაა ერის გულით შობილი და ერის ელდაცემულ გულიდამვე ამოფეთქებული, ვითა თოფის წამალი, როცა ცეცხლი ეცემა. აქ ჰლაპარაკობს თვით ერი, რომელიც ამისთანაებში მეტის-მეტად სიტყვა-ძვირია და თავ-დაჭერილი და არა ჰგავს კარ-ჩაკეტილს მწიგნობარსა, რომლისათვისაც დაუვალებიათ უსახელოს სახელი რამ მიაკეროს მახლობელთა სანუგეშოდ. ხმა ერისა და ხმა ღვთისაო, ისე არსად არ გამართლდება ხოლმე, როგორც ამისთანაებში, იმიტომ-რომ ერის მიერ ქება უდიდღვაწლოდ ძნელი საშოვარი განძია და ბევრი სახელდებული ისტორიაში კაცი ვერ დაიქადებს, რომ იგი სახელი თვით ერისაგან მიჰმადლებოდეს.

ზემოდა ვთქვით, რომ ხსენება დიდბუნებოვანის მამულისშვილისა შთამომავლობის მოვალეობაა. ერთი დარგი ამ მოვალეობისა ის არის, რომ წირვა და ლოცვა გადავიხადოთ მისის სულის საოხად და განსასვენებლად მართალთა შორის. ამას ითხოვს ჩვენი რჯული, ქრისტიანობა. ეს წესი, რასაკვირველია, პირველ ყოვლისა უნდა ავასრულოთ. ხოლო ეს არ უნდა ვიკმაროთ. საქმით რითიმე მართლა საუკუნოდ სახსენებელი უნდა გავიხადოთ სახელი მეფის ერეკლესი. სამადლო საქმე რამ უნდა შევქმნათ და სახელი ერეკლესი დავარქვათ.

რა საქმეა იმისთანა, რომ მით საუკუნოდ ხსენებულ იყოს სახელი განსვენებულის მეფისა? ბევრ გვარი გაჭირება გვიძევს წინ და ძნელია კაცმა ერთი ისე ამოირჩიოს, რომ მეორე არ დაჰნანდეს, მეორისთვის გული არ ეტკინოს. სახსარი კი ცოტაა. აი, მაგალითად, გუშინ ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი იყო, რომ ტაძარი მცხეთისა შესაკეთებელია, წვიმა ჩამოდის და ლამის ეს ძველი ნაშთი ჩვენის დიდებისა დაირღვას და ჩამოიქცესო. განა გულ-გასაგმირავი ამბავი არ არის ესა? მაგრამ რით ვუშველოთ? რა გზა და სახსარი გვაქვს ამისათვის? მეორეს მხრით, მოდით და ამისთანა ამბავს ყურს ნუ ათხოვებთ! რა ვქნათ? მეტი გზა არ არის, ბევრ გაჭირებიდამ ერთი იმისთანა უნდა ამოვარჩიოთ, რასაც ჩვენს ღონეს გავაწვდენთ და სხვა ყოველი გაჭირება გულის ტკენით და ნანვით ჯერ ხანად თავისს სვე-ბედს უნდა მივაჩემოთ.

თ. ივ. სულ. ჭავჭავაძემ ერთი კარგი სარჩიელი დაუყენა თვალ წინ ჩვენს თავად-აზნაურობას: არწრუნისეულის ქარვასლის შემოსავლიდამ, რაც ხარჯს გადარჩება, ყოველ წლივ გადაიდოს რაოდენიმე ნაწილი და ამ გზით შეგროვდეს იმოდენა ფული, რომ მისის სარგებლით შემწეობა ეძლევოდეს ღარიბ მოსწავლეთა უმაღლეს სასწავლებელში. აზრი მშვენიერია, ადვილად ასასრულებელიც, მეტის-მეტად სასარგებლო და განსახორციელებლად დაუყოვნებლივ საჭირო. ამ ფულს დაერქმევა სახელი მეფის ერეკლესი. რა თქმა უნდა, არც უმისობა იქნება, რომ გარეშე კაცთაც ამ მართლა სამადლო საქმეს თავისს შეძლებისა გვარად თავისი წვლილიც არ მოაწოდონ, ოლონდ-კი თავად-აზნაურობამ სარჩიელი თ. ივ. სულ. ჭავჭავაძისა მიიღოს და საზოგადოებას გაზეთების შემწეობით ხმა მისცეს, რომ შემოსწირონ რამ და იმედია, რომ ეს არ დარჩება ხმად მღაღადებლისად უდაბნოში.

თუ ეს საქმე შეასრულა ჩვენმა თავად-აზნაურობამ, ჟამთა გაუთავებელი საუკუნოდ სახსენებელიც ეს იქნება მეფის ერეკლისა, რადგანაც თავნი ფულისა უსათუოდ ხელ-უხლებლად დადებულ იქმნება, მარტო სარგებელი წავა ღარიბთა მოსწავლეთა შესაწევრად და ამ სახით წყარო განუწყვეტლად ედინება ჟამთა გათავებამდე. აი ჭეშმარიტად მადლიანი საქმე და ღირსი მისის დიდის სახელისა, ვისიც საუკუნოდ ხსენება ასე სანატრელია ჩვენთვის და ვისთვისაც საქართველოს შვილთა განათლება და სწავლა ცოდნით შემოსვა დაუძინებელი სურვილი იყო.

ამისთანა საქმეში სათნოება მადლისა ბ დიდება სახელისა ხელი-ხელ ჩართულნი იქნება და-ძმურად: მადლი თავისს სათნოების შუქს მიჰფენს სახელსა და სახელი თავისს დიდებას განუზიარებს მადლსა. სათნოებას დიდებისთანას სხვას უკეთესს და უტურფესს ამხანაგსა და თანამგზავრს ვერ უშოვით და დიდებას სათნოებისთანას. სათნოება და დიდება, როცა და-ძმურად ერთად ვლიან, ყველა სხვა და-ძმობაზე უმაღლესნი, უტკბილესნი და უმშვენიერესნი და-ძმანი არიან და ნეტარ არს იგი, ვისიც დიდება მხარს უმშვენებს სათნოებას და სათნოება—დიდებასა. ამ ნეტარებას ნუ თუ დავიშურებთ იმ კაცის სახელისათვის, ვინც ორმოცდა-თოთხმეტი წელიწადი „რკინის კარი“ იყო საქართველოსი!..

ამისთანა სახსენებელი ანდერძს ეგვანება, იმ ანდერძს, რომელიც ისაქმებს ჟამთა გაუთავებლად ერეკლე მეფის სახელითა. ისაქმებს იმ დიდ-სათნოებიან საქმითა, რომელსაც სწავლა-განათლება ჰქვიან და რომლისათვისაც ისე გულ-დადებით და გულის-ტკივილით ილვწოდა აწ განსვენებული გვირგვინოსანი, რაც შეეძლო, როცა დრო და ჟამთა ვითარება ათასში ერთხელ ამისთვის მოაცლიდა. ეს ხელთ-უქმნელი, მაგრამ დიდად საგრძნობელი სახსოვარი თავის-თავად ილაღადებს დღემუდამ, რომ სახელოვანი ერეკლე იმისთანა კაცი ყოფილა, რომელსაც შთამომავლობისაგან სამართლიანად ეთქმის: „მოკვდა და თვისის ანდერძით აწ ისევ ჰსაქმობს მკვდარიო“.

## მეფე ერეკლეს გლოვა

(სახალხო ლექსი, შეკრებილ პ. უმიკაშვილისაგან)

ვერ გაიგითა, ქართველნო,
შაგეხსნათ რკინის კარია,
მეფე აღარ გყავსთ ერეკლე,
ბაგრატიონთა გვარია!
აღარ გაქვსთ ბაირახები,
აღარ სჭეხს ზარბაზანია,
დაშავებულან კარავნი,
შემეეხვივნეს ყმანია,
ღმერთს შესტირიან ქართველნი,

რათ შეგვიკერენ ბრალია... *).
შავი დავიცვით ტანზედა,
გავსწირეთ საწირავია.
დედოფალიატირდება,
იმერთ მეფისა ქალია:
„მეფის ერეკლეს სიკვდილი
ვინა სთქვა, რა სათქმელია?..
მეფე ერეკლე ზეცას არს,
ღმერთთან არს წილ ნაყარია.
მცხეთაში ოქროს კუბო სდგას,
შიგ ნათობს კელაპტარია,
შიგა წევს მეფე ერეკლე,
ბაგრატიონთა გვარია.
შვილებს დაუგდი ბეჭთარი,
სისხლში ნაწდომი ხმალია:
მანამდის ვიყავ, ცხენს ვიჯექ,
მივსძრენ და მოვსძრენ მთანია,
ეხლა-კი თქვენ გაგიწირით,
ფხა-სისხლიანი ხმალია,
შეინახიდით, შვილებო,
ქალაქის მეიდანია,
ერთმანეთს ნუ უღალატებთ,
მტერმა არ გთხაროსთ თვალია.

## საფლავი მეფის ირაკლისა

მოვიდრეკ მუხლთა შენს საფლავს წინ, გმირო მხცოვანო,
და ცრემლს ვავანთხევ შენ სახელზე, მეფევ კმოვანო!
ახ, რად არ ძალ-უძს განცოცხლება წმიდას აჩრდილსა,
რომ გარდმოხედო ახალს ქართლსა, შენს პირმშოს შვილსა!
თაყვანს ვჰსცემ შენსა ნაანდერძებს, წინასწარად თქმულს,
გახსოვს სიკვდილის ჟამს რომ უთხარ ქართლს დაობლებულს!..
აჰა აღსრულდა კელმწიფური აწ შენი აზრი,
და ვჰსჭამთ ნაყოფსა, მისგან ტკბილსა, აწ შენნი ძენი:
ჟამ-ვითარებით გადახვეწილთ შენთ შვილთ მიდამო
მოაქვთ მამულში განათლება და ხმა საამო;
მათი ცხოველი, ტრფიალებით აღსავსე სული,
უდნობს ყინულსა ჩრდილოეთსა, განცეცხლებული.
და მუნით ჰზიდვენ თესლთა ძვირფასთ მშობელ ქვეყანად,
მხურვალეს ცის ქვეშ მოსამკალთა ერთი ათასად!
სადაც აქამდის ხმლით და ძალით ჰფლობდა ქართველი,
მუნ სამშვიდობო მოქალაქის მართავს აწ კელი!
აწ არღა ერჩის ქართლის გულსა კასპიის ღელვა;
ვერღა ურყევს მას განსვენებას მისი ალტყველვა;
შავის ზღვის ზვირთნი, ნაცვლად ჩვენთა მოსისხლე მტერთა,
აწ მოგვიგვრიან მრავალის მხრით ჩვენთა მოძმეთა!
მშვიდობა შენსა წმიდას აჩრდილს, გმირო განთქმულო,
უკანასკნელო ივერიის სიმტკიცის სულო!
აწ მიჰხვდა ქართლი შენსა ქველსა ანდერძ-ნამაგსა,
და თაყვანსა-ჰსცემს შენსა საფლავს, ცრემლით აღნაგსა!

ნ. ბარათაშვილი

## მეფე ერეკლე II-ეს

(სიკვდილიდგან ასის წლის შესრულების გამო).

მეფევ რაინდო, მეფევ გმირო, ღვთაებავ ერის,
თუმც შენი ხმალი, მოყვრის ფარი და რისხვა მტერის,
ჭაბუკობის დროს, რა-კი ერთხელ ამოღებულა,
სანამ, მხცოვანი, აღარ მოკვდი, არ ჩაგებულა;
თუმცა საყვარელ სამეფოის კეთილდღეობას
შესწირე შენი ძალ-ღონე და ნიჭი სავსებით;
თუმც გაკვირვებით ადევნებდა თვალს შენს მხნეობას
მთელი ქვეყანა და გიკრავდა ტაშს აღტაცებით;
თუმცა სამშობლო ჭირს მრავალჯერ გადაარჩინე,
მაინც მტრის რისხვა სამუდამოდ ვერ ააცდინე,
რადგან რაც შენგან, ერთისაგან, დღეს კეთდებოდა,
ხვალ ათასისგან უსირცხვილოდ ის ფუჭდებოდა!..
დიდხანს იბრძოლე... მაგრამ როცა ნახე, რომ ყველა
შენ გღალატობდა შინ და გარეთ, არ იყო შველა,
გაგიტყდა გული, დაგეკარგა რწმენა, იმედი
და საბოლოოდ გადასწყვიტე მამულის ბედი:
იმის მშვიდობას ანაცვალე თავისუფლება
და ერთ-მორწმუნე ძლიერს ერსა დაუკავშირე,
უარ-ჰყავი რა შენთა შვილთა ნება, უფლება,
სამეფო ტახტი სამეფოსთვის მეფემ გასწირე!
მას აქეთ განვლეს მრავალთა წელთ და ის, რაც სურდა
შენს უანგარო მეფურს გულსა, უკვე აღსრულდა! —
ვით თამარის დროს, ერთად მყოფი ქართველი ერი,
ვის მყუდროებას ვეღარ ურღვევს აწ ბილწი მტერი,
შენის საფლავის წინ ცრემლის ღვრით დღეს იდრეკს მუხლსა
და შესთხოვს ზეცას, მოანიჭოს მშვიდობა შენს სულს,
და მეც ჩემს სუსტს ხმას, წმინდა გრძნობით აღფრთოვანებულსა,
ვუერთებ მთელის საქართველოს ხმას შეთანხმებულს!
დიდება შენდა, ღირსო მეფევ!.. სანამ ქართველი
სცოცხლობს და გმირულ თავ-განწირვას ფასი ექმნება,
არ მიეცემა დავიწყებას შენი სახელი
და არ გაჰქრება ქვეყანაზედ შენი ხსენება!..

დუტუ მეგრელი

## 1795 წ. სახსოვრად

აგერ ამოდგა აჩრდილი,
აკლდამის კარი გაიღო;
რა ფრიად შეწუხებულა,
ხელში ფრანგული აიღო...
მოჰგვარეს ლურჯი ტაიჭი,
ნალმა ძგრიალი გაიღო;
თვალთაგან ცრემლსა ნადენსა
სისხლი უცინის მკლავზედა.
მაინც არ ტყდება მოხუცი,
ხელი უვლია ხმალზედა;
გასცქერის ტფილისისაკენ,
აღშფოთებული ძალზედა,
იწვება ჩვენი ქალაქი,
ალი შემჯდარა ალზედა;
იქ მიშველება სწადიან,
თავს ესხმის გუნდი მტერისა,
უხმობს იმერთ და ამერთა,
ვისაც თავი აქვს შველისა.
მოუვლენ არაგველები,
გულ-გადალევით ელისა;
სადა ჰყავს შავარ_ენის გუნდი,
ვაჟკაცნი ლომის ფერანი?
ტახტი დაუწვეს მეფესა,
ქვეყანა ქმნილა ვერანი.
სრულ სისხლით გადაბასრულან
მწვანე ივერთა ველანი;
ფარფაშობს აღა-მაჰმადი,
თამაშობს იმის მერანი.
სადაა ქართველთ ბიჭები,
ვით გასძლონ ამის მზერანი?
— ვაჰმე, სადა და სადღაა,
კრწანისზედ გასწყდნენ ყველანი!
უხმობს, უწოდებს მხედართა...
დადუმებულან ენანი...
თამარს და ვახტანგს მიართვეს
ტანზედ წყლულების თმენანი.

ვაჟა-ფშაველა

## მეფის ირაკლის ქება

ღმერთო, მოეც დიდი დღე... დიდი დღე
მტერზე განაძლიერე,
ობოლ-ქვრივთა, გლახაკთ მწე—ირაკლი.
შევამკოთ ქართველთ ცხებული... ცხებული.
ღვთისაგან გამეფებული,
დავითის შტო ქებული—ირაკლი.
ღმერთო, მოეც დიდი დღე... დიდი დღე
მტერზედ განაძლიერე,
ობოლ-ქვრივთა, გლახაკთ მწე—ირაკლი.
როს ქართლს აღმოუბრწყინდა... უბრწყინდა,
ყოვლი მძლავრი შეშინდა,
მით სახელი განდიდა,—ირაკლი.
ღმერთო, მოეც დიდი დღე... დიდი დღე,
მტერზე განაძლიერე,
ობოლ-ქვრივთა, გლახაკთ მწე—ირაკლი.
აღაყვავა ჰსჯულია,... ჰსჯულია,
ქრისტეს ბრძანებულია,
მოსცა მჯავრი სრულია—ირაკლი.
ღმერთო, მოეც დიდი დღე... დიდი დღე,
მტერზე განაძლიერე,
ობოლ-ქვრივთა, გლახაკთ მწე—ირაკლი.
მარად ებრძვის სპარსთა,
მახმედისა მოსავთა.
ბევრ-გზის სძლია ოსმალთა.... ირაკლი.
ღმერთო, მოეც დიდი დღე... დიდი დღე
მტერზედ განაძლიერე,
ობოლ-ქვრივთა, გლახაკთ მწე—ირაკლი.
ეზრახვის რუსთ ხელმწიფე... ხელმწიფე,
აღუთქვამს, ექმნას შემწე,
რადგან ოსმალთ არის მძლე—ირაკლი...

*) შავი—სამგლოვიარო ტანთსაცმელი.

# ფელეტონი

## კანონი და ცერემონია მეფე ერეკლეს გვამის დასაფლავებისა

ა. წელსა განხორციელებიდგან სიტყვსა ღ҃ისა ჩღჟႨ., თთჳსა იანვარსა რიცხვსა ია, დღესა ორშაბათსა, ჟამსა განთიადისასა, მიცვალება სანატრელისა, დიდებულისა და მემკვდრისა სრულიად საქართველოჲსა და სხუათა და სხუათა მპყრობელისა მეფისა ირაკლი მეორისა, ძისა ცხებულის მეფის თეიმურაზისა, კახეთის სამეფოსა შინა ქალაქსა თელავს, სამეფოსა პალატსა შინა.

რომლისა საუკუნო იყავნ სუფევით ნეტარება.

ქ҃რთულსა ქორონიკონსა ზედა უ҃პვ.

ბ. მისის უმაღლესობის სრულიად ზემოჲსა საქართველოს მპყრობელის მეფის ირაკლი მეორის ცხედარს ამ კანონით და ცერემონიით უნდა შეუდგნენ, სამეფო სამხედრო ხარისხი და სამღუდელო დასი.

გ. ესე უკჳႨ ცერემონია ქმნილი და დაწერილი მოგონილი და გაკეთებული არს, მისის მაღალ-კეთილშობილების, ალექსის ძის სიბრძნის მოყვარის და სრულიად კახეთის სამეფოს თელავის ქალაქის სემინარიის რეკტორის დავითის მიერ.

ბოლოდამ დაიწყების ტირილი და გლოვა პირჭႨლად:

დ. წინ თოფხანა ზარბაზნები, თავისის ყუთებით, თავის დროშით და თავის ამალით გაწყობილნი, აგრეთვე ბალაბანჩიკები და სალამურთა დამკვრელნი წეს დგომით წინ აფიცრები, უფროსნი თავს და უმცროსნი ბოლოს, კმალ ამოღებულნი და ქვე კმალ დაშვებულნი, ბალაბანჩიკები და სალამურთა მკმობელნი, უნდა უკრავდენ საგოდებელისა და სალმობიერის კმითა, და ამათ ერთი თოფხანის დროშა წინ უძღოდეს, პირველად მოვიდეს თოფხანის გამგებელი თოფჩიბაში სამეფოს (დროშასთან) ცხედართან მესაკრავენი მოჰყვნენ, ბალაბანდი მდაბლად დაჰკრან უკანასკნელი პატივი მისცენ, ცრემლით იტირონ, გაბრუნდნენ და თავის განწესებულს ადგილს დადგნენ. მოზარენი მოსვლასა ზედა ორ ხოროდ წინ უძღოდენ, და მათ წინ მოუძღოდეს შავით მოსილი ცერემონ მეისტერი ალექსის ძე დავითი.

ე. შემდგომად ამისა მოვიდნენ მეწინავე სარდრები, ორბელიანი და ქსნის მოურავი, ორნივე სწორად, თავისის სამკედროთი, თვსნი დროშანი მოუძღოდესთ, წინ დროშასთან ორ ხორად უძღოდენ მოზარენი და მათს წინ ცერემონ მეისტერი, მეფის ცხედართან იტირონ, თავი მოუდრიკონ. დროშათა, და თვითცა სარდართა თავი მოიხარონ თავ შიშველთა, გაბრუნდნენ და თვისსა განწესებულსა ადგილსა დადგნენ.

ვ. შემდგომად ამისა მოვიდნენ ქართლისა და კახეთისა მემარჯუნე სარდრები ორნივე თანასწორად თავისის სამკედროს დასით, წინ თავის სნი დროშანი მოუძღოდენ, ამათ წინ ორ-ხორად მოზარენი მგალობელნი, და ამათს წინ ცერემონ მეისტერი წინა უძღოდეს, მოვიდნენ ცხედართან, მდაბლისა ხმითა ცრემლით იტირონ, თვითცა და თვსთა დროშათაცა ცხედარს თავი მოუხარონ, წარვიდენ და თვსსა განწესებულსა ადგილსა დადგნენ, თვსთა გუნდთა და სამკედროთა თანა.

ზ. შემდგომად ამისა ქართლისა და კახეთისა მემარცხნე სარდრები მოვიდნენ, ორნივე თანასწორად, თვისითა სამკედროსა გუნდითა, წინ თვსნი დროშანი მოუძღოდენ, მათ წინ ორნივე ხორონი მოზარენი და იმათს წინ ცერემონ მეისტერი, სამეფოს ცხედართან მოვიდენ, მდაბლის ხმით ცრემლით იტირონ, თავ-შიშჳႨლთა, თვთცა თავი მოუხარონ ცხედარსა და დროშათაცა, საუკუნო ამბორი მისცენ, წარვიდენ და თვსსა განწესებულსა ადგილსა მდგომარე იყუნენ, თვისის სამხედროს გუნდით.

Ⴈ. შემდგომად ამასთან ცხენი ორი სწორედ შეკაზმული, ორს ჯილავდარს ეჭიროს, მკარზედ ზიმფუშები დაკეცით ეკიდოსთ, ორნი მილახორნი მიუძღოდესთ წინ თავ-შიშველნი და საყელო შეხსნილნი, ცხენნი შეკაზმულნი, ერთს ტახტაზედ ეკიდოს სამამაცო საჭურველნი, სამკლავეები, და მეორეს ცხენის ტახტას მუზარადნი და სხვანი იარაღნი.

თ. შემდგომად მოვდნენ მეაბჯრენი, ესე იგი ჯაბადარნი, კელთა აქუნდესთ მშვილდ ისარნი და კაპარჭნი, და ეგრეთვე შუბნი, იყვნენ თავ-შიშველნი, საყელო ჩამოხევთ და გოდებით მტირალნი.

ი. ამასთან კელ-ჯოხიანები წესდგომით თავ-შიშველნი, საყელო ჩამოხსნილნი და კელთა შემუსრვლისა ჯოხისა მქონებელნი.

ია. ამასთან ბოქოულთ-ხუცესნი წესდგომით თავშიშველნი, საყელო ჩამოხსნილნი და კელთა შემუსრვლისა ჯოხისა მქონენი.

იბ. ამასთან ნაზირნი, პირველნი მარჯვენით და მეორენი მარცხენით, თავ-შიშჳႨლნი, საყელო ჩამოხსნით.

იგ. ამასთან ლაშქარ-ნივისნი, პირველნი მარჯჳႨნით და მეორენი მარცხენით, თავ შიშჳႨლნი, საყელო ჩამოხსნით.

იდ. ამასთან მოლარეთ-უხუცესნი და მოლარენი სალაროს მწერალნი და ფეშქაშ-ნივისნი, მარჯჳნივ და მარცხნივ განყოფით, მოლარეთ უხუცესთა ხელთა აქუნდესთ ფადნოსნი და ფადნოსთა ზედა მდებარნი კლიტენი სალაროთანი, ესენიც თავშიშველ მკერდ-ღიანი.

იე. ამასთან მდივნები, მარჯვენით პირველნი, ხოლო მარცხენით მეორენი, კელთა საწერლისა მქონებელნი და კალამ შემუსრვლნი, თავშიშველნი და საყელო ჩამოკსნილნი ცრემლ-დენით.

ივ. შემდგომად მდივანბეგნი და მსაჯულნი ქართლისა და კახეთისანი, პირველნი მარჯვენით და მეორენი მარცხენით. ამათსა წინ ახლოს უძღოდესთ: მდივანბეგთა—მწერალი პირველი, ეპყრას ვეცხლის ფოდნოსი, ფოდნოსსა ზედა ბალიში ფარჩისა და მას ზედა მდებარე იყოს წიგნი სამართლისა.

იზ. შემდგომად მანდატურთ-უხუცესნი, რომელ-არიან ეშიკაღასბაშნი, ესენი მარჯვენით, ხოლო მარცხენით ხალვათ ხანის ეშიკაღასბაშნი, ეპყრასთ ხელთა კვერთხნი შემუსრვლნი და იყუნენ ცრემლითა მგოდებელნი.

იჱ. შემდგომად, ორ-ხოროდ მგალობელნი, მარჯჳႨნით მისის უმაღლესობის მეფის მგალობელნი, ხოლო მარცხენით მისის უწმინდესობის პატრიარხის მგალობელნი, და იტყოდნენ გალობათა ლმობიერისა კმითა წყნარად, წმიდაო ღ҃თოსა, და უკეთუ ჰნებავს მისსა უწმინდესობასა მგალობელნი ჰგალობენ კონდაკსა და იკოსსაცა მიცუალებულთასა: ჭეშმარიტად ამაო არს და შემდგომი, ხოლო მგალობელთა მარჯჳႨნით წინა უძღოდეს კანან-არხი, და ეგრეთვე მარცხენეთა ხოროთა მეორე კანანარხი.

*) შავი—სამგლოვიარო ტანთსაცმელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღმერთო, მოეც დიდი დღე... დიდი დღე,
მტერზე განაძლიერე,
ობოლ-ქვრივთა, გლახაკთ მწე—ირაკლი.

ბესარიონ გაბაშვილი

# ახალი ამბავი

*** დღეს, 22 თებერვალს, დილის $8^1/_2$ საათზედ, წავა ტფილისიდგან მცხეთაში საბჭოს მიერ არჩეული დეპუტაცია ქალაქის მოურავის გ. გ. ევანგულოვის მეთაურობით მეფე ერეკლეს სულის მოსახსენებელს წირვასა და პანაშვიდზედ დასასწრებლად.

*** გუშინ ქალაქის გამგეობამ მიჰმართა ბ-ნს გუბერნატორს და სთხოვა, ნება მიეცით ქალაქის ხელოსანთა მოურავს და ამქრებს მცხეთაში მეფე ერეკლეს წირვასა ❡ პანაშვიდს თავისის ბაირაღებით დაესწრნენო.

*** ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის გამგეობისა და ზედამხედველ კომიტეტის წევრთ და აგრეთვე სხვა მოხელეთ გარდასწყვიტეს, სადღეისოდ სამგლოვიარო გვირგვინის ყიდვის ნაცვლად, საკუთარის ჯიბიდგან ოთხასი მან. შესწირონ მეფე ერეკლეს სახელობაზედ დაარსებულს ფონდს.

*** ქალაქ გორის წარმომადგენელთ აირჩიეს ცალკე დეპუტაცია, რომელიც ქალაქის მოურავთან ერთად, დღეს, 22 თებერვალს, დაესწრება მცხეთაში საქართველოს მეფის ერეკლე მეორის სულის მოსახსენებლად გარდასახდელ პანაშვიდს. დეპუტაციის წევრებად არჩეულ იქმნენ: ი. ნ. სუდანოვი და ს. ზ. ღამბაროვი.

*** ბ-ნ ა. ნატროშვილს დღეისთვის დაუმზადებია და უკვე დაუბეჭდია რუსულს ენაზედ წიგნაკი, რომლის შემოსავალი არის დანიშნული განსაახლებად მცხეთის საკრებულო ტაძრისა. ამ დიდებულის ნაშთის საშიში და შემაწუხებელი ყველა საქართველოს შვილისათვის მდგომარეობა უკვე არა ერთხელ გვიცნობებია ჩვენის გაზეთის საშუალებით მკითხველებისთვის. წიგნაკი შესდგება სამის განყოფილებისაგან: 1) ერეკლე II, მეფე საქართველოსი; 2) გლოვა საქართველოს მეფის ერეკლესი, წარმოთქმული სოლომონ მსაჯულის მიერ, და 3) სიტყვა არხიმანდრიტის მ. ლეონიდისა დიდებულის მეფე ერეკლე მეორის გვამის დაკრძალვიდგან ასის წლის შესრულების გამო, რომელიც წარმოთქმულ იქმნება მცხეთის ტაძარში ამ დღეს. წიგნაკს აქვს დართული სურათი დიდებულის მეფის ერეკლე II-სა. წიგნაკი დაბეჭდილია ბ-ნ ე. ხელაძის სტამბაში.

*** ქ. ლიონი (საფრანგეთი). თუმცა აქაურმა ქართველობამ არ იცოდა, რომ ამ დღეებში შესრულდა ასი წელიწადი, რაც სახელოვანი მეფე ერეკლე გარდაიცვალა, მაგრამ რაღაცა განგებით იმ დროს, როდესაც საქართველოს შვილნი სასიქადულო მეფის სულს იხსენიებდნენ, აქაურ განათლებულ ახალგაზდათა თხოვნით ერთი აქ მყოფ ქართველთაგანი ლექციასა ჰკითხულობდა საქართველოს ისტორიის შესახებ. ლექტორმა დამსწრე საზოგადოებას ფერადის სურათებით დაუხატა საქართველოს წარსული ცხოვრება და გააცნო მეფე ფარნაოზი, მირიანი, დავით აღმაშენებელი, თამარი, შოთა რუსთაველი და ქართველ ერის ნუგეშ დიდება პატარა „კახი“. ლექციის მოსასმენად თავი მოიყარა რუსეთისა, პოლონეთისა, ბოლგარიისა და ებრაელთა ორივე სქესის სტუდენტობამ და დიდად ნასიამოვნები დაიშალა. ამ ჟამად ლიონის სამეურნეო სასწავლებელში ხუთი ქართველი სწავლობს. არიან აგრეთვე ქ. მონპელიესა და სხვა ქალაქებში. მომეტებულ ნაწილად ყველანი მეურნეობასა სწავლობენ.

*** გაზ. „კავკასი“ სწერს, რომ ამ დღეებში ქალაქის მოურავს მეტად საყურადღებო წინადადება წარუდგინა ერთმა კაცმაო. ეს კაცი თხოულობს, რომ ქალაქის ქუჩების საუკეთესოდ (ოთხ-კუთხიანის ქვებით) მოკირწყვლის საქმე იჯარით მომეცითო. ბედ 50,000 მანეთს შემოვიტანო. ყველა იმ ქუჩების მოკირწყვლას, რომელსაც გამგეობა საჭიროდ დაინახავს, იჯარადარი ხუთის წლის განმავლობაში ჰკისრულობს. იჯარადარი პირობასა სდებს, რომ ხუთის წლის განმავლობაში მოკირწყლული ქუჩები არ წახდებაო, ხოლო თუ წახდა, ჩემის ხარჯით უსასყიდლოდ შევაკეთებო. ხოლო რაც შეეხება ფულის მიღებას, იჯარადარი თხოულობს, რომ ყოველ წელიწადს იმ ფულის 50% მომეცით, რაც წლის განმავლობაში შესრულებულ საქმეში მეკუთვნისო, დანარჩენი ყოველ სამუშაოს გათავების ხუთის წლის შემდეგაო. ამასთან იჯარადარმა გამგეობას იმ ქვის ნიმუშები წარუდგინა, რომლითაც აზრადა აქვს ქუჩები მოჰკირწყლოს.

*** გუშინ, 21 თებერვალს, ქალაქის გამგეობის დარბაზში ხარჯის გამწერმა კომისიამ დაწერა ტფილისის სასტუმროს პატრონებს 3,500 მანათი ქალაქის სასარგებლოდ.

*** კავკასიის მთავარ-მართებელმა უბოძა სენაკის მაზრის ნაქალაქევის ბოქაულის მწერალს აზნაურს მიხეილ ჩხეტიას ვერცხლის მედალი „მამაცობისათვის“ ზედ წარწერით, წმ. გიორგის ლენტით გულზედ სატარებლად, იმ მხნეობისათვის, რომელიც მან 6 მაისს 1897 წელს ციმბირიდგან გამოქცეულის ყაჩაღის ლევან მხეიძის შეპყრობის დროს გამოიჩინა.

*** ბაქოში შეიპყრეს თურმე ცნობილი კონსტანტინიდი, რომელმაც, წაიყვანა ტფილისიდგან ვიღაც ქალი შ. და იმასთან ერთად იმის დედის ფული წაიღო. კონსტანტინიდი დაპატიმრებულ იქმნა, ხოლო „მოტაცებული“ ქალი შ. ამ ჟამად ბაქოს საავადმყოფოში წევს.

*** 20 თებერვალს, ბაგრატ ზალინოვმა განაცხადა პოლიციაში, რომ ჩემს ბინაზედ, რომელიც კოჩუბეის ქუჩაზედ ესაევის სახლში № 14-ია, წუხელის 19 თებერვალს ვიღაც ბოროტ-განმზრახველნი შემოვიდნენ და მოიპარეს 4 მოქსოვილი ბალიში, 5 მოქსოვილი მუთაქა, ყმაწვილების პალტოები, ყაბალახები და კალოშები, სულ 113 მანეთად ღირებული. გამოძიება სწარმოებს.

## ბ-ნ ბეის რეფერატი „En Géorgie“

(წერილი პარიზიდგან)

ამ სათაურით 15 თებერვალს აქაურ გეოგრაფიულ საზოგადოებაში მოვისმინეთ რეფერატი ბატონ ბეისა, რომელსაც საზოგადოების მინდობილობით უმოგზაურია და დაუთვალიერებია საქართველოს საუკეთესო ადგილები. მოხსენების დასაწყისშივე რეფერენტმა განუზიარა დამსწრე საზოგადოებას თავისი სიამოვნება, საქართველოში მოგზაურობით გამოწვეული, და სხვათა შორის აღნიშნა, რომ რაც-კი აქამდის თქმულა თუ წერებულაო საქართველოს ბუნების შესახებ, სრულიადაც არ არისო გადაჭარბებული, მისი ბუნების სიდიადე და კლდე-ველ-მინდვრების საუცხოვო სილამაზე პოეზიისათვის დაუშრეტელ წყაროს წარმოადგენსო. ჩემის სიტყვების დასამოწმებლად საქართველოში გადაღებულს რამდენსამე ფოტოგრაფიულს სურათს წარმოგიდგენთო და მაშინ შეიტყობთ, თუ რამდენად ლამაზი უნდა იყოსო ეს ქვეყანა.

ამ მოკლე წინასიტყვაობის შემდეგ რეფერენტი შეუდგა თავისის მოგზაურობის აღწერას; აგვიწერა ჯერ დარიალის ხეობა თავისის უზარმაზარის კლდეებითა და გაშმაგებულის თერგით, თამარის ციხე, სოფელი სიონი, მყინვარი—ეს თავი და თავი თოვლიან მწვერვალთა შორის კავკასიონის ქედი და სხვა საუკეთესო ადგილები საქართველოს სამხედრო გზისა. მერე რეფერენტმა მოიხსენია მცხეთა როგორც საქართველოს უძველესი სატახტო ქალაქი, სადაც ყველა ქართველთა მეფენი ტახტზე ასვლის წინად იკურთხებდნენ ხოლმე გვირგვინს, აღნიშნა ამ ძველის ტაძრის შესანიშნავი ხუროთ-მოძღვრება და, საზოგადოდ, მცხეთის ისტორიული მნიშვნელობა ქართველებისათვის, შეეხო აგრეთვე მეფე მირიანის დროს და საქართველოს განმანათლებელს ნინოს. მცხეთის შემდეგ სულ მოკლედ აგვიწერა ქ. ტფილისი, მოიხსენია მისი ძველი ნაწილი თავის გალავნის ნანგრევებით, სიონის ტაძარი და წმ. ნინოს ჯვარი.

ბ-ნს ბეის დაუთვალიერებია აგრეთვე კახეთი—ეს დიდებული კუთხე საქართველოსი, რომელსაც მან „საქართველოს წალკოტი“ უწოდა. იქაურმა ბუნებამ და აუარებელმა ვენახებმა სულ აღტაცებაში მოიყვანეს რეფერენტი. მან დაწვრილებით აგვიწერა კახეთის რთველი, ყურძნის დაწურვა და თანაც კახური ლეკური, რომელიც იქ პირველად ენახა; ლეკურის შესახებ რეფერენტმა დაუმატა: ამ ცეკვაში იმდენი სიკეკლუცე და სიმარჯვე გამოიხატება, რომ იმისს სავსებით გარდმოცემას მხოლოდ სინემატოგრაფი მოახერხებდაო. კახეთის დათვალიერების შემდეგ ბატონი ბეი გამგზავრებულა იმერეთს; დაუთვალიერებია ბათუმი, სადგური ჩაქვა თავის უცხოელთა პლანტაციებით, მერე ქუთაისს წასულა, უნახავს გელათი თავისის განძეულობით და სხვა. ქუთაისში პატივცემული რეფერენტი მიუწვევიათ ქართველებს ერთ სადილზედ, სადაც რეფერენტი დარწმუნებულა, თუ რა გმირები ყოფილან ქართველები სმაში (როგორც სჩანს, თავ მომწონე სტუმრებსაც ძალიან გამოუჩენიათ საამისო თავ-დადებუ-

სამღუდელო დასთათვს განწესება და დაწყობილება.

ით. უწმინდესი კათალიკოს-პატრიარხი, პირველნი მიტროპოლიტნი, არხიეფისკოპოსნი, ეფისკოპოსნი, პირველნი არხიმანდრიტნი, მარჯვენით ქვაბთახევისა, ხოლო მარცხენით შუამთის არხიმანდრიტი მძღუართ-მოძღუარი, პროტაპაპნი, მარჯუენით მეფისა, მარცხენით კათალიკოსისა, მარჯუენით მცხეთისა, ხოლო მარცხენით ალავერდისა, კანდელაკნი მარჯვენით და მარცხენით, მეფის კარის ეკლესიის მღუდელნი მარჯუენით, მარცხენით კათალიკოსისანი. ხოლო შემდგომად სხუანი მღუდელნი, ვითა მათნი მღუდელ-მთავარნი იყვნენ მდგომარენი, ეგრეთ მათნი დეკანოსნი, კანდელაკნი და კრებულნი იყვნენ მდგომარენი, თჳსთა ხარისხთა შინა, ეგრეთ ჰსდგენ, ვითა იგი განწესებულ-არს წერილთა შინა სამღუდელოთა დასთა თჳს, სხვანი წერილნი იხილე კურთხევასა შინა მეფისასა, ძუელი ხარისხად ქმნილი სქიმა, და ახალი. მეფემან, კათალიკოსმან და კრებამან უწყოდეს ამისთვის, რომელ ზევთ და ქვემოთ დგომაზედ მრავალი ცილება და განხეთქილება არს, მღუდელმთავართა, არხიმანდრიტთა, პროტოპაპთა და სამღუდელოთა დასთა შორის. ამის უკუე მიზეზისათჳს, ოდეს საქართუელო იყო სრულიად ერთ სამეფო, მაშინ სამღუდელოთა დასთა წყობილება და ხარისხნი იყუნენ სრულიად მის მისსა ხარისხსა შინა წეს-დგომით, ვითა იხილვების ქართლისა აღწერასა მატიანესა შინა და ეგრეთვე მცხეთისა წერილსა შინა ხუცურსა. ხოლო ოდეს საქართველო განიყო, და სამ სამეფოდ გასქდა: ქართლად, კახეთად და იმერეთად და ეგრეთვე ხუთ სამთავროდ, ესე იგი: საათაბაგოდ, სადადიანოდ, საგურიელოდ, და საათხაზოდ და სასვანეთოდ; მაშინ ყოველთავე მეფეთაცა და მთავართაცა თჳის თჳსად სარდრები განიწესეს, მეწინავეცა, მემარჯვნეცა და მემარცხნეცა. ეგრეთვე დიდების-მოყვარებისათჳს, რომელთამე ახალნი ეპისკოპოსნი დასხეს, რომელიმე საეპისკოპოსო ავის დროსაგან მოიშალა, რომელიმე დამდაბლდა, რომელიმე ამაღლდა, და არღარა არს ადრინდელი წესდება და გარიგება. სიგრძისათჳს დავიდუმოთ, აქ მოხსენებად საჭირო არა არს.

კ. ამასთან ღერბი საკელმწიფო, ეს უნდა მდებარე იყოს ვეცხლის ფოდნოსზე, რომელზედაც გარდაფარებულ-იყოს ფარჩის საფარებელი, და მას ზედა მდებარე იყოს ღერბი. ეს უნდა ეპყრასთ კელთა შინა მორდართ, დასამიძეს იესეს და მორდარს და თავადს გურგენის ძეს იოანეს, მარჯუულ ❡ მარცხულ უდგენ ამათ გერმანოზის შვილი გიორგი ❡ ყორჩიბაშის შვილი ქაიხოსრო. უნდა მოეგებნენ მისის უწმიდესობის არხიდიაკონნი დომენტი და მეორე დიაკონი ქობულოვ თავადი გერმანე შემოსილნი, კელთა საცეცხლურისა მქონებელნი და უკმიონ ამას ღერბსა, გუნდრუკითა, სანდლითა და საკმეველითა, ხოლო შემოსილი არხიმანდრიტი ასხურებდეს აიაზმასა უსუპითა და ეტკრთოს დიაკონსა შემოსვილსა აიაზმა, ხოლო მსხურებელსა არხიმანდრიტსა მარცხენითა კელითა ეტვირთოს ცხოველს მყოფელი ჯუარი დაფარნითა ბოლო მოხვეული.

კა. ამასთან მოაქუნდეს კმალი, აბაშის შვილს დავთს, რომელიცა იყოს მდებარე ბალიშზედ, და ბალიში მდებარე იყოს ვეცხლის ფოდნოსზედ. ამას მარჯვენით მოუდგეს იოანე გაბას-შვილი და მარცხენიდ ზაქარია მაყას-შვილი. ამასაც მოეგებნენ ორნი იგი ზემოჰხსენებულნი დიაკონნი და კანონისამებრ თავმოდრეკით უკმიონ.

კბ. ამასთან უნდა ეპყრას ანდრია პირველ-წოდებულის მოციქულის, ლურჯი კავალერია და ვარსკვლავ ვერცხლის ფოდნოსსა და ბალიშსა ზედა დებით, ამილახვრის-შჳლს გიორგის, მოეგებნენ ზემოხსენებულნი იგი დიაკონნი და უკმიონ ვითა ჯერ არს. ამას შეუდგეს მარჯუენით ჯანდიერის შვილი პაატა და მარცხენით ყორჩი ბაშისშვილი ბარამ.

კგ. ამასთან სკიპტრა სახელმწიფო უნდა მოაქვნდესთ ენისელთ მოურავს შვილს ქეშიკში-ბაშის ნაიბს თამაზს, რომელიც მდებარე იყოს ვეცხლისა ფოდნოსზედ ბალიშზედ დადებულით. ამას შეუდგეს მარჯვენით ჯანდიერის შვილი რევაზ და მარცხენით გურამის შვილი დავთ. ეგრეთვე ამასცა მოეგებნენ ზემოკსენებულნი დიაკონნი, თავ მოუდრიკონ და უკმიონ კანონისამებრ.

კდ. ამასთან უნდა ეპყრას სამეფო სფერა ქუეყანისა, ვეცხლის ფოდნოსზედ ბალიშ დადებულსა ზედა ჩოლაყაშვილს ქაიხოსროს სალთხუცის ძეს გრიგოლს. ამას შეუდგეს მარჯუენით ფალვენის შვილი ფარეშთ-უხუცესი ზაქარია, და მარცხენით ბეჟან მდივანბეგის შვილი იოსებ. ამას სამეფოსა სფერასა, მოეგებნენ ორნი იგი შემოსილნი არხიდიაკონნი დომენტი და გერმანე, თავ მოუდრიკონ და უკმიონ საკმეველითა, ვითა ზემო გარდაცემულ არს კანონისამებრ.

კე. ამისსა სამეფოთა ნიშანთა უპირატესად მოაქვნდეს სამეფო გვირგვნი მისსა ბრწყინვალებასა, იოანე მუხრანის ბატონის ძეს კოსტანტინეს, იყოს ფოდნოსი ვეცხლისა და ფოდნოსსა ზედა ბალიში და მას ზედა მდებარე გვრგვნი. ამას შეუდგნენ მარჯუენით თავადი გურგენის ძე დავთ და მარცხენით ყორჩიბაშის შვილი დავთ, მოეგებნენ ორნი იგი ზემოხსენებულნი არხიდიაკონნი, თავი მოუდრიკონ გვრგვნსა სამეუფოსა და უკმიონ საკმეველითა, ვთა იგი ჯერ არს კანონისამებრ.

კვ. ამისა შემდგომად მოვიდეს მისი მაღალ-ღირსება სიმაღლისა მეფისა კარისა და სუფტისა ცხოველისა დეკანოზი ნიკოლაოს, კელთა უსუპისა მქონებელი, ხოლო კელთა აქუნდეს შემოსჳლსა დიაკონსა წყალი, კურთხეული აიაზმისა. ამისსა ღირსებასა თანაჰყვებოდეს მისი ღირსება ალავერდის დეკანოზი აბრაჰამ, კელთა მტვრთველი ხატისა, ანუ ჯუარისა მის, რ~ლსა უძღჳს კურთხევასა, ანუ ცხებასა მეფისასა, ანუ ქორწინებასა ზედა, და უძღოდესთ წინარე ორი ბავრაყი, და ეპყრასთ ორთა სტიხარ-ცმულთა კერძო დიაკონთა. ამას უკუე მოეგებნენ ორნი იგი დიაკონნი თავ მოუდრიკონ და უკმიონ კანონისამებრ განწესებისა.

კზ. ამასთან მისმა ღირსებამ, მისის სიმაღლის მეფის მოძღუარმან მეტეხის დეკანოზმან იესე, გამოასვენოს ხატი ყდ~წმიდისა მინანქრისა, კარისა ღ~ის მშობელი, და მეორე კარისავე ღ~ის მშობელი ეტკრთოს მეფის გიორგის მოძღვარს მისს ღირსებას იოსებს და მარცხენით ჰსდგეს: მოეგებნენ ორნი იგი ზემოთქმულნი დიაკონნი კმევთა, და წინა უძღოდეს ყოველსა სამკაულისა წარმოღებასა ზედა ცერემონ მეისტერი, მისი მაღალ-კეთილშობილება ალექსოვი ალექსის ძე რეკტორი დავთ, და სადაკა დასვენებულ იყოს ცხე-

ლობა და უცხოეთის მკვლევარისა რა ბრალია, თუ ამ დიადის სადილის შემდეგ სხვა რამ აზრი არაფერი გაჰყოლია).

ბატონმა ბეიმ ქუთაისით დაამთავრა თავისის მოგზაურობის აღწერა. მერე რამდენიმე სიტყვა უძღვნა თამარ-დედოფალს, აღნიშნა, თუ რა სიყვარულითა და პატივისცემით იხსენიებენ ეხლაც ქართველები იმისს სახელს; მრავალი ციხე-ნანგრევი, აქა-იქ საქართველოში გაფანტული, და ათას ნაირი ლექსი თამარის შესახებ, ხალხის მიერ გამოთქმული და ხალხშივე აქამდის დარჩენილი, ცხადად ამტკიცებენო, სთქვა რეფერენტმა, იმისის სახელის აღმოუფხვრელობას. აქვე მოიყვანა მაგალითი, ერთ გორელ მესტვირისაგან გაგონილი ლექსი თამარ დედოფალის შესახებ. სხვათა შორის პატივცემულმა რეფერენტმა მოიხსენია ცნობილ უცხოელ პოეტის ლექსი თამარის შესახებ და სთქვა, რომ მისი აზრი დედოფალის გამო სიმართლეს მოკლებულიაო, რადგანაც ქართველებს თამარი წარმოდგენილი ჰყავთო როგორც ზნეობით და გამჭრიახობით სავსე ადამიანიო. შემდეგ ბ-ნმა ბეიმ მოკლედ დაახასიათა ქართველები, ღნიშნა მათი სიკეკლუცე, სიმარჯვე, სტუმართ მოყვარეობა, ჭკუის გამჭრიახობა და თან დაათავა თავისი მოხსენება იმ სიტყვებით, რომ ქართველები ღირსნი არიანო ჩვენის თანაგრძნობისა. მოხსენების წაკითხვის დროს პატივცემული რეფერენტი გვიჩვენებდა სხვა და-სხვა ბუნდოვან სურათებს საქართველოის ცხოვრებიდგან, რომელთა შორის საზოგადოების განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო: დარიალის ხეობამ, თამარის ციხემ, მყინვარმა თავისის დიდებულ მწვერვალით, მზის სხივებით გაბრწყინვებულმა, თამარ-დედოფლის სურათმა, ლეკურმა და კახეთის ვენახმა.

კრების თავმჯდომარემ მოკლედ განმარტა ამ გვარ მოხსენებათა მნიშვნელობა და თანაც საზოგადოების მხრივ მადლობა გამოუცხადა რეფერენტს. დამსწრე საზოგადოებამაც, კარგა ბლომად შეკრებილმა, თავისის მხრივ რამდენჯერმე ტაშის კვრით დააჯილდოვა ბ-ნი ბეი. სხვათა შორის ამ კრებას ოთხი ქართველი დაესწრო.

სან—იძე

## დამაკვირდი

სარწმუნოება და სარწმუნოებრივი აზრი ერთი არ არის. სარწმუნოება ერთად ერთია, როგორც მზე, მთელის დედამიწისათვის; სარწმუნოებრივი აზრიკი მრავალია, ვითარცა სხივი მზისა.

ჟან პაული

* * *

ეჭვთა კიბეს მხოლოდ მცოდნე აჰყავს სინათლისაკენ.

პიერმონტი

* * *

იმ სიტყვებზედ უმშვენიერესი ლოცვა არა არის-რა, რომლითაც ამთავრებდნენ ძველად ინდოელები თავისს დრამატიულს წარმოდგენებს. იგი ჰღაღადებს: „იყვნენმცა ყველა არსნი თავისუფალ ტანჯვისაგან!“

შოპენჰაუერი

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

არა ერთხელ უცდიათ ქუჩების მორწყვა ზღვის წყალით და დარწმუნებულან, რომ ამ წყალით მორწყვა გაცილებით უკეთესი გამომდგარა მრავალ მხრივ. პირველად ქალაქ რიდის ქუჩები მორწყეს ინგლისში ამ ორმოცის წლის წინად. 70 წელს ამ ქალაქს წაჰბაძეს სხვა ქალაქებმაც—ბასროვმა, ბლექპოლმა და ბირკენგიდმა. აღმოჩნდა, რომ ზღვის წყალით მორწყული ქუჩები უფრო დიდ ხანს არა შრება და ქუჩა არც ტალახიანდება ისე, როგორც მდინარის ან წყაროს წყალით მორწყული. გარდა ამისა ზღვის წყალით მორწყვას კიდევ შემდეგი უპირატესობა აქვს. ზოგიერთს ქუჩებს ქვით მოკირწყვლის მაგიერ შეშის პატარა კუნძებს აფენენ და ამგვარად ქუჩების მორწყვა ზღვის წყალით ძლიერ კარგია, რადგანაც მლაშე წყალი უფრო კარგად ინახავს ხესა, რომელიც ამ შემთხვევაში მალე არა ლპება. გარდა ამისა, ზღვის წყალი უფრო კარგად რეცხავს და ასუფთავებს ქუჩას. ამ ჟამად ინგლისელებს განზრახვა აქვთ მთელის ლონდონის ქუჩები ზღვის წყალით მორწყონ ხოლმე.

## მცირე შენიშვნა

სახალხო წარმოდგენების გამო

დიდის ხნის სურვილი აგვისრულდა: ოფიციალურად ნება დაგვრთეს ქართული წარმოდგენები გავმართოთ ხოლმე ავჭალის უფასო სასადილოს დარბაზში, სადაც აქამდის მხოლოდ რუსულს ენაზედ იმართებოდა წარმოდგენები და კითხვა. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ დღეს იქნება თუ ხვალ ქართულს ენაზედ სახალხო კითხვების ნებასაც მოგვცემენ, მაგრამ ჯერ რაც არის, იმას უნდა ვუპატრონოთ, რომ შიგ ჩვენები ვასარგებლოთ, იმათ ვასიამოვნოთ, ხოლო გარეშებს დავანახვოთ და დავუმტკიცოთ, რომ ჩვენცა გვაქვს სახალხო პიესები, ჩვენც შეგვიძლიან ღირსეულად გავუძღვეთ და ვუპატრონოთ ქართულ სახალხო თეატრს!.. ასე ღირსეულად საქმის შესრულებისათვის კი უთუოდ საჭიროა, რომ იმ ორიოდე ქართველმა, რომლებიც სახალხო გასართობის კომიტეტის წევრად ირიცხებიან—, მოახდინონ კრება სცენის მოყვარეთა და საზოგადოდ იმათი, რომლებსაც ასე თუ ისე გული შესტკივათ ტფილისში მყოფ მუშა და ღარიბ ხალხისათვის; შეადგინონ მთელი დასი, რომელმაც უნდა ჰმართოს წარმოდგენები, ამისათვის კი აქვე შეიძლება არჩევა რეჟისორისა და ადმინისტრატორისა. რადგანაც პიესების შინაარსსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ამ ახალს საქმეში, რომ არა მარტო უნდა აცინოს, არამედ ჩაუნერგოს მაყურებლებს ჭეშმარიტი აზრი, გააცნოს ქართული ცხოვრება თავისის ღირსება-ნაკლულოვანებით, ამისთვის, მე მგონია, პატარა კომიტეტის არჩევა დასჭირდება, რომელმაც უნდა პიესებისათვის იზრუნოს, ქართული პიესებიდგან ამოარჩიოს გამოსადეგი, ხოლო თუ ამ გვარი პიესები ძალიან ცოტა იქნება, სთარგმნოს ამ აზრით სხვა და სხვა ენიდგან სახალხო პიესები.

გ—რი

## ახალი წიგნები

ბ-ნ ზ. ჭიჭინაძისაგან ჩვენ მივიღეთ ახლად დაბეჭდილი წიგნი „მეფე ერეკლე“ მონოგრაფია მოსე ჯანაშვილისა. წიგნი დაბეჭდილია სუფთად, შეიცავს 40 გვერდს და ჰღირს ორი შაური. ეს წერილები ადრე გაზეთ „ივერიაში“ იყო დაბეჭდილი. წიგნში მოთხრობილია მეფე ერეკლეს ცხოვრება, სხვათა შორის აღწერილია დაწვრილებით განჯის აღებაც, ასპინძის ომი და კრწანისის ბრძოლა.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

20 თებერვალი

**პარიჟი.** ნაკე ასიზთა სასამართლომ გაამართლა.

საგენერალო შტაბის კაპიტანმა ბეგუანმა, ზოლას საქმის სასამართლოში გარჩევის გამო, შეურაცხმყოფელი წერილი მისწერა ტრარიეს რომელმაც ეს წერილი გენერალ ბილიოს გადასცა. ბილიომ ბეგუანს საყვედური გამოუცხადა. სენატის ჯგუფნი შეიკრიბნენ ამ ამბის განსახილველად. უმეტესობა იმ აზრისა იყო, რომ ბეგუანი საკმაოდ არ დაისაჯა, მაგრამ საქმის გადაწყვეტა გადადებულ იქმნა.

**ათინა.** პალატამ დაადგინა გაუგზავნოს მისალოცი ადრესი მეფეს.

ფინანსთა მინისტრმა შეიტანა კანონ-პროექტი საერთაშორისო-საფინანსო კონტროლის შესახებ, რომლის ძალითაც საფინანსო მორიგება მოხდა. ამასთან მინისტრმა განაცხადა, რომ რუსეთმა, საფრანგეთმა და ინგლისმა უზრუნველ-ჰყეს ახალი სესხი, რომელიც 120 მილიონ ფრანკს შეადგენსო.

21 თებერვალი

**პეტერბურგი.** სახელმწიფო საბჭოს უმაღლესად დამტკიცებულის აზრით, ჯეროვან კანონდებულებათა შესავსებლად და შესაცვლელად დადგენილ იქმნა: კანონნი, რომლის ძალითაც ბილეთები ეძლეოდა ხე-ტყისა და ხე-ტყის მასალის მდინარეების შემწეობით და ხმელეთით გადასაზიდად და ამ წყალ-მდინარეებთანვე ამისი შესახები მეთვალ-ყურეობა იყო დაწესებული,—გაუქმებულ იქმნას 1898 წლის პირველ ივნისიდგან ყველგან რუსეთის იმპერიაში, არხანგელსკისა, ვოლოგდისა, ოლონეცკისა, პერმისა, ტომსკისა, ტობოლსკის გუბერნიებსა და აკმოლინსკისა, სემიპალატინსკისა და სემირეჩინსკის ოლქებს გარდა, რომლებშიაც ამა საგნის შესახებნი დადგენილებანი ძალაშივე დარჩება დროებით.

**ხაბაროვსკი.** შარშანდლიდგან იაპონელთ თანდათან ვეი-ხაი-ვეის მეციხოვნეთა რიცხვი 3 ათასამდე შეამცირეს, 6 ათასის ნაცვლად, თუმცა უფლება ჰქონდათ ამდენი ჰყოლოდათ. ეხლა-კი ხელ-ახლად შეუდგნენ მეციხოვნეთა რიცხვის გამრავლებას. ასეთი მოქმედება იაპონელთა აშკარად ჰმოწმობს, რომ იმათ ფიქრადაც არა აქვთ ვეი-ხაი-ვეიდგან ჯარი გაიყვანონ.

---

დარი მეფისა კუბოთი, ძვირ ფასითა ფარჩებითა მოკრული და ოთხსა კერძოსა ოთხნი ორთავიანნი არწივნი ფარჩისანი მიკრულნი, და კუბოსა ზედა მდებარე სამეფოსა გვირგვინსა გარდა სხვა გვრგვნი შემოსილი ძვირფასითა სტოფითა, ხოლო კუბოსა ზემოთ მდგომარე ბალდახინი, ესე იგი ქოლგა ზედან გარდაფარებული ძვირ-ფასი სტოფი და ბალდახინსა ოთხსავე კუთხესა ოქრომკედისა მსხვილნი თოკნი და ათორმეტნი ფუნჯნი ოქრომკედისანი, ოთხსავე მკარესა ბალდახინისასა დაკიდებულნი, თითოსა მკარესა სამნი ფუნჯნი, ხოლო ბალდახინისა ოთხნი სვეტნი ფიგურად ქმნილნი და შემოკრულნი ფარჩანი მძიმედ სვეტისა ფიგურათა ზედა ზემო და ქვემო ერთ-ფერნი სტოფნი; ხოლო საშუალნი ბალდახინისა სვეტისანი იყუნენ სხვა ფერნი სტოფნი, ფიგურათაგან გარჩეულნი. ორნი ესე მოძღუარნი შემოსილნი და ღ~ის მშობელისა ხატთა მტვირთველნი მოვიდენ და დადგნენ და ცხედარსა მეფისასა წინა უძღოდენ და ორნი კერძო დიაკონნი სტიხარცმულნი ლამპრე~ისა მტვირთველნი ხატთა წინა უძღოდენ და სხვანი ორნი დიაკონნი შემოსილნი ამათ უკვე ხატთა გუნდრუკსა და სანდალსა უკმევდენ.

კმ. ამასთან გამოვიდეს ორნი სამეფო დროშა, ერთი ეპყრას მარჯვენით ალმადარ-ბაშს ქაიხოსრო ჯომარდიძეს და მარცხენით ძესა მისსა მიხაილს, მიეგებნენ ორნივე იგი ზემო-ჰხსენებულნი დიაკონნი, თავი მოუდრიკონ და უკმიონ წესისაებრ, და სადაცა ჰსდგეს ცხედარი მეფისა, მაშინ ერთი მარჯვენით და ერთი მარცხენით დადგეს დროშანი, ხოლო ამათ თან მივიდენ სამეფო სადროშო სამხედრო გუნდი მწყობრისა.

კთ. ამასთან სანატრელის მეფის ირაკლის გუამი უნდა ეპყრასთ ბრწყინვალეთა თავადთა, ქართლისა ~ კახეთისათა. ამას ცხედარსა მოჰსდევდნენ ორნი სხვანი დიაკონნი სტიხარცმულნი და ვეცხლის ლამპრებით აღნთებული თეთრი სანთლები ეპყრასთ, ერთი თავით ცხედრისა და მეორე ფერხთით და დანაშთომნი ყულუხჩნი მოჰსდევდნენ, ხოლო ცხედრისა თავით სხუა ორი დიაკონი შემოსვლი და მკმეველნი.

ლ. ცხედრისა მტვირთველნი ესენი არიან: ენდრონიკას შვლი იოსებ, ციცისშვილი სვიმონ, ბეჟან მდივანბეგის შვილი რაფაილ, ბარათას შვილი იოსებ მინბაში, ბეჟან ყორჩიბაშის შვილი, დიმიტრი დიასამიძე, ციციშვილი გიორგი, ჭავჭავაძე ნაზირი (გიორგი) იოსებ, ციცისშვილი იოანე, ამირეჯიბი დავით, ჯანდიერის შვილი ომან კალაურის მოურავი, დიმიტრი ყორჩიბაშის შვილი სოლომან ჩერქეზის შვილი, შაშიანის მოურავი ჯანდიერის შვილი ფრიდონ, ჯიმითის მოურავის როსების ძმა ჯანდიერის შვილი იოანე, ჭავჭავაძე პაატა, და ათნი სხუანი გალმა მკრის თავადნი, ნოდარის შვილნი, ჯორჯაძენი და რუსის შვილნი და სხუანი.

ლა. ხოლო ბალდახინისა ოთხთა სვეტთა ოთხნი ბრწყინვალენი თავადნი ესენი არიან: ამილახორის შვილი ბეჟან, აბაშიძე ევგენ, ენდრონიკას შვილი დიმიტრი, ჩოლაყაშვილი ნიკოლოოზ, ამათ ოთხთა, თითოთა თითო სვეტი ეპყრასთ.

ლბ. წარვიდეს მისი სიმაღლის კარისა და სუ~ტის ცხოვლისა მისი ჩინებული ღირსება დეკანოსი ნიკოლაოს იმ განწესებით და განწყობილებით, ვითა იგი დაგვიწერიეს მუხლსა შინა ოცდა მეექვსესა, წინაუძღოდენ მოზარენი და ცერემონმეისტერი და საცა სახლსა და პალატასა შინა ჰბრძანდებოდეს მისი სიმაღლე დედოფალი დარეჯან, ზარით წამოუძღვნენ და მასთან დარბაისელთა ცოლნი თავშიშველნი, მოვიდენ ცხედარსა თანა მეფისასა და იყოს გოდება, ტირილი და სალმობა გამოუთქმელი და უკანასკნელი გამოსალმება და დათხევა ცრემლთა.

ლგ. ამას შეუდგნენ ძენი მეფისანი ცხედარსა თანა მეფისასა მისასვლელნი, ამათ შეუდგნენ პირველნი თავადნი, ამა პირველთა თავადთა შემდგომად მეორენი თავადნი, ხოლო ამა მეორეთა თავადთა შემდგომად მესამენი თავადნი და შემდგომად აზნაურნი და ყოველნივე თავშიშულნი.

ლდ. ამისსა შემდგომად სძალნი მეფისანი და ასულნი მარცხენით ცხედრისა, ამათ უნდა შეუდგნენ პირველთა თავადთა მეუღლენი, ხოლო ამათ შემდგომად მეორეთა თავადთა მეუღლენი და ამა მეორეთა თავადთა მეუღლეთა შემდგომად მესამენი და შემდგომად აზნაურთა მეუღლენი, ესე ყოველნივე თავშიშულნი და მდუმრად სალმობითა ცრემლთა დამთხეველნი.

ლე. ამათ უკვე შეუდგენ რაოდენნიმე ეშიკაღას-ბაშნი: ბოქაულთ უხუცესნი, და იასაულნი, რომელ დაბალნი ხალხნი, მამაკაცნი ანუ დედაკაცნი ჩინებულთა გვამთა შემაწუხებელ არა ექმნენ.

ლვ. ამას ჟამსა ქართველთა და სომეხთა ეკლესიათა შინა ზართა და სარეკელთა ცემა უნდა იყოს სანამდის სანატრელი ცხედარი მეფისა ირაკლისა წარიღებოდეს, ხოლო ესე ცერემონია სრულ რა იქნეს და აღიღონ ცხედარი მეფისა, მაშინ იქმნეს ზარბაზანთა ცემა რაოდენიცა შესაძლებელ იყოს.

ლზ. ამას უკვე ცერემონ მეისტერსა და წესთა დამწყობსა ალექსოვს ალექსის ძეს რეკტორს დავითს უნდა ჰყვანდეს თვსსა ფელიხ-ქვეშედ ქისიყის სამთავროდამ მოსახმარად კაცნი ძლიერნი და საქმის შემძლებელნი რიცხვთ ოცდა ათნი, და ცერემონ მეისტერმან რაჲცა უბრძანოს, ყოველივე მჰსახურება მსწრაფლად აღასრულონ მორჩილებით.

ლჱ. ხოლო რომელნიცა ზემორე მოხსენებულ-არიან სარდარნი, მეწინავენი, მემარჯვენენი და მემარცხენენი, ყოველნივე თვს თვსთა საკუთართა სპათა წინა უვიდოდენ, თვისითა დროშებითა, თვის თვისთა განწესებულთა ადგილთა და ხარისხთა, ყოველნივე დაწყობით ვიდოდენ და სარანგნი თვს თვისად მიჩენილნი ცერემონ მეისტრისაგან მართვიდნენ, რათა მწყობრნი არა აღირივნენ და დაწყობით აქუნდეს სლვანი.

ლთ. ამის უკუჱ წესთა ცერემონ მეისტრად დაიდგინა ჩვენ მიერისა ბრძანებითა, მისი მაღალ-კეთილშობილება ალექსოვი ალექსის ძე რეკტორი დავით. თთუჱსა იანვარსა რიცხვსა ია, წელსა ჩღჟჱ. ქ~კს უპვ. კელმოწერილი და ბეჭედი: ს~დ საქართველოს დედოფალი დარეჯან.

კელ-მოწერილი და ბეჭედი: მისი უწმიდესობა კათოლიკოს პატრიარხი მეფის ძე ანტონი.

Дозволено цензурою, Тифлисъ 21-го Февраля 1898 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.